

# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30  
2014 წლის 21 ოქტომბერი

დაბა ქედა

## ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

ქედის მუნიციპალიტეტი დაიყოს 9 (ცხრა) ადმინისტრაციულ ერთეულად.

### მუხლი 2

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

- ა) დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: დაბა ქედა, სოფელი ქედა, სოფელი გულები, სოფელი ხუნკუდა, სოფელი ორცვა, სოფელი არსენაული, სოფელი შევაბური, სოფელი ძენწმანი, სოფელი კორომხეთი, სოფელი ცხემნა, სოფელი აქუცა, სოფელი ზენდიდი.
- ბ) დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი დანდალო, სოფელი ტაკიძეები, სოფელი მოსიაშვილები, სოფელი გოგიაშვილები, სოფელი ბალაძეები, სოფელი ხარაულა, სოფელი ჯალაბაშვილები.
- გ) ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი ზვარე, სოფელი ზესოფელი, სოფელი კვაშტა, სოფელი სირაბიძეები, სოფელი ვაიო.
- დ) მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი ზედა მახუნცეთი, სოფელი ქვედა მახუნცეთი, სოფელი ზუნდაგა, სოფელი ზედა ბზუბზუ, სოფელი ქვედა ბზუბზუ, სოფელი უჩხითი, სოფელი ნამლისევი, სოფელი ქოსოფელი, სოფელი მილისი, სოფელი დოლოგანი, სოფელი ჭალახმელა, სოფელი ჭინკაძეები, სოფელი დოხოძეები.
- ე) მერისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი მერისი, სოფელი სიხალიძეები, სოფელი ინაშარიძეები, სოფელი გარეტყე, სოფელი გუნდაური, სოფელი ნამონასტრევი, სოფელი სილიბაური.
- ვ) ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი ოქტომბერი, სოფელი კუჭულა, სოფელი მეძიბნა, სოფელი აგოთა, სოფელი გოგინიძეები.
- ზ) პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი პირველი მაისი, სოფელი ზედა აგარა, სოფელი ქვედა აგარა, სოფელი კოლოტაური.
- თ) ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი ცხმორისი, სოფელი ახო, სოფელი ჩეტკიძეები, სოფელი გობრონეთი, სოფელი კოკოტაური, სოფელი გეგელიძეები.
- ი) წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი წონიარისი, სოფელი ვარჯანისი, სოფელი ტიბეთა, სოფელი კანტაური, სოფელი აბუქეთა.

### მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტში დასახლებათა გაერთიანების(თემი) შექმნის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 იანვრის №13 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ 06.02.07.; №17. სარეგისტრაციო კოდი: 010.250.050.35.134.000.999)

### მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

